მუსიკად ქცეული ანბანი

პრესრელიზი

7 მაისს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3), გაიხსნება გამოფენა სახელწოდებით „კალიგრამა - მუსიკად ქცეული ანბანი“. გამოფენა ტარდება სამუსიკო ფესტივალის, „აღდგომიდან ამაღლებამდე“, ფარგლებში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საზოგადოებას წარუდგენს ახალგაზრდა კალიგრაფს, ალექსანდრე მამუკაშვილს. იგი თანამედროვე ხელოვანია, რომელიც ქართულ ანბანს ტიპოგრაფიის ერთ-ერთი მიმდინარეობის „კალიგრამას“ საშუალებით აცოცხლებს.

კალიგრამას ნიმუშები მსოფლიოში ჯერ კიდევ ძვ. წ III საუკუნეში ჩნდება. ქართულ ხელნაწერებში კალიგრამას ნიმუში გვხვდება XII-XIII საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ ხელნაწერში იოანე სინელის კლემაქსი. 7 მაისს გამოფენაზე მოსული საზოგადოება აღნიშნული ხელნაწერისა და სამუსიკო ნიშნებით შემკულ სხვა რამდენიმე განსაკუთრებულ ორიგინალ ხელნაწერსაც იხილავს.

ალექსანდრე ღონისძიების მიმდინარეობისას შეასრულებს კალიგრამას, რომელზეც გამოისახება ისეთი ცნობილი კომპოზიტორების ტექსტები როგორებიც არიან: ჯუზეპე ვერდი, • ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, • ნიკოლო პაგანინი, • ლუი ჰექტორ ბერლიოზი, • ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი და სხვა.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge